

თვალსაზრისი OPINIONS

ლიანა გოგუაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აუდიტორიის პირისპირ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს)

IV

წინამდებარე სტატია ნაწილია ერთიანი ნაშრომისა აუდიტორიის პირისპირ, რომელიც დღევანდელი საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სიზუსტით სწავლებას შეეხება. ნაშრომის ადრესატია ანგლისტიკის სპეციალობის საშუალო და მომდევნო დონეების სტუდენტთა აუდიტორია. გრამატიკისა და ლექსიკის სიზუსტით სწავლებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, იხ. გოგუაძე 2012, 315–336; გოგუაძე 2014, 323–361. ერთიანი ნაშრომის III ნაწილი კვლავ ლექსიკას შეეხება, კერძოდ კი – ლექსიკურ იდიომატიკას (გოგუაძე 2016, 269–300); ამავე თემას აგრძელებს წინამდებარე სტატია. ანალიზი ძირითადად სასწავლო მასალის მოცემულობაზეა აგებული.

ვიდრე მსჯელობას განვაგრძობდე, წარმოვადგენ ლექსიკური იდიომატიკის მთლიან კონტექსტს – განხილულსა და განსახილველს.


კლასიფიკაციის ლექსიკურ-გრამატიკულ პრინციპზე დაყრდნობით საანალიზო მასალაში გამოიყო ერთსიტყვიანი და ერთზე მეტსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმები/იდიომები (იხ. სქემა 4).¹ პირველი მეტყველების ერთ ძირითად ნაწილს შეიცავენ, მეორენი კი – ორს ან მეტს და სინტაქსურად ისინი წარმოქმნიან წინადადებას ან შესიტყვებას (რაც არ ითქმის ერთსიტყვიან იდიომათა ჯგუფზე). წინადადების შემთხვევაში საანალიზო ერთეული შეიცავს შემასმენელს/პირიან ზმნას ქვემდებარითურთ, ანუ შეიცავს პრედიკაციას და ქმნის წინადადებას. მაგ. A new broom sweeps clean (პრედიკაცია ხაზგასმულია. იხ. სქემა-

1 სქემებისა და მაგალითთა ნუმერაცია ნაშრომის წინა ნაწილს ებმის.

ზე II. იდიომატური წინადადებანი). მეორე შემთხვევაში საანალიზო ერთეული არ შეიცავს ქვემდებარე-შემასმენლის ერთობლიობას (ანუ პრედიკაციას), ვერ ქმნის წინადადებას და შესაბამისად ენა მას შესიტყვების დონეს განუკუთვნებს. მაგ.: as graceful as a swan, to hold true, (straight) from the horse's mouth² (იხ. სქემაზე I. იდიომატური შესიტყვებანი). მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენ მოცემული კლასიფიკაციის სქემას. დავძენ: აღნიშნული სქემა მიემართება ინგლისურს როგორც ანალიზურ ენას, სადაც ერთი სიტყვა, როგორც წესი, ვერ წარმოქმნის წინადადებას. ამასთან, თავად ინგლისურთან მიმართებით სქემას შესაძლებელია ალტერნატიული ვარიანტიც ჰქონდეს.

სქემა 4

ლექსიკურ იდიომათა სტრუქტურული სახეები



ნაშრომის წინა ნაწილში განხილული იყო ერთსიტყვიანი იდიომები და იდიომატურ შესიტყვებათა (1), (2) და (3) ჯგუფები. ანალიზს ვაგრძელებ ზმნურ იდიომათა ანუ (4) ჯგუფით.

(4) ზმნურ იდიომათა ჯგუფი

იდიომათა ამ სახეობის/ჯგუფის საკვანძო სიტყვაა ზმნა. ჩვენს სასწავლო მასალაში წარმოდგენილი ზმნური იდიომები მრავალრიცხოვანია და არაერთგვაროვანი, რაც შემსწავლელს იმთავითვე უქმნის სირთულეს; და არა მარტო მას. რთულია და გარკვეულ ზომიერებასა და სიფრთხილეს ითხოვს მასალის შერჩევა, სწორი ორგანიზაცია და შესაბამისი თანმიმდევრობით დალაგება თუ აუდიტორიისათვის მიწოდება. ამასთან დაკავშირებით დავძენ: მოცემული

2 აქ და შემდგომ იდიომათა დამოწმებისას ფრჩხილებში ფაკულტატიური სიტყვა ჩაისმის.

ჯგუფი საჭიროებს შემდგომ დაკონკრეტებას. კერძოდ, ტრადიციული ზმნური იდიომებისაგან გამოყოფას ითხოვს ფრაზული ზმნების მზარდი ნაკადი. მაშასადამე, ზმნური იდიომები შეგვიძლია ორ ქვეჯგუფად გავყოთ, რომელთაგან ერთს (ა) ტრადიციული ზმნური იდიომები შეადგენენ, მეორეს კი – (ბ) ფრაზული ზმნები.³ იხ. სქემა 4, სადაც ისინი ერთმანეთისაგან ჰორიზონტალური ხაზითაა გამიჯნული.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ჯგუფი (4ა). ტრადიციული ზმნური იდიომები.

პირველ რიგში, როგორც მიღებულია, ფორმულის ენით აღვწერ საანალიზო ქვეჯგუფის სტრუქტურას, შემდგომ კი საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით განვავრდობ მსჯელობას.

მაგალითთა დიდი უმრავლესობა წარმოდგენილია ფორმულებით:

ა) v+noun/n. phrase: to break a record/the silence; to see the point; to get the sack; to go on strike; to take sth/sb for granted; to learn sth by heart; to be in heaven; to be in the swim; to do sb a favour/a good turn და მისთ.

ბ) v + adv/adv. phrase: to go far; to stand firm/fast for/against sth; to think much/highly/little of sb/sth და სხვ.

44. I don't think much of the new plan; I'd rather we followed the old one.

45. Think big. Be ambitious. You shouldn't think about the limits of your business (Clare and Wilson 2009, 171).

შენიშვნის სახით დავურთავ: ზმნურ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვებას, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული კუთხით მასალის შესწავლას არც თუ მცირე ხანი მოვანდომე; მიუხედავად ამისა (და იქნებ სწორედ ამიტომაც), ჩემი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით არ არის ერთგვაროვანი და ცალსახა; ნააზრვეის ქალაქებზე გადატანა კი დაახლოებით იმგვარ პროცესს წააგავს, რასაც, იდიომატიკის ენითვე რომ ვთქვათ, walking on thin ice ჰქვია. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება: (ა) ამ იდიომათა სინტაქსურ სტატუსს; (ბ) რიგ შემთხვევაში სიფრთხილით მიდგომას ითხოვს ზმნის მარჯვენა „პარტნიორის“ მორფოლოგიური სტატუსიც.⁴ (გ) ყველაზე რთული და ამასთან მთავარიც, თუკი მეტყველების სიზუსტეზეა საუბარი, არის წინდებულისა და, გარკვეულწილად, არტიკლის იდიომატური ხმარება; და ეს არ არის პრობლემათა სრული ნუსხა.

3 ტერმინი ტრადიციული ზმნური იდიომები პირობითია.

4 მაგალითისათვის: დასახელებული ფორმულიდან მორფოლოგიურად პოლიფუნქციურ სიტყვას much სალექსიკონო სტატიაში ამგვარი არაერთგვაროვანი მინიშნება უძღვის წინ: *determiner, pron., n* (Longman Dictionary of Contemporary English, 715).

(ა) სინტაქსური თავისებურებანი. შევადაროთ მაგალითები:

46. ა) Stay here, don't go far, please. vs ბ) Jim is ambitious. He's smart and hard-working. Mind my words, he will go far. პირველი წინადადების შემასმენელი მარტივი ზმნურია, ზმნიზედა far კი შემასმენლის თანმხლები გარემოებაა. ეს თავისუფალი შესიტყვებაა. მეორე მაგალითში იგივე ზმნიზედა (და თავად ზმნაც) ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით; იგი (ანუ ზმნიზედა, ცხადია, კონტექსტის მეშვეობით – აქ კონტექსტია გადამრთველი) მნიშვნელობის ახალ შრეს ჰმატებს შემასმენელს და ამგვარად შექნილი სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე წინადადების „სინტაქსური სურათიც“ იცვლება – აქ უკვე will go far ფრაზეოლოგიური შემასმენელია, მთლიანი სტრუქტურა კი – იდიომატური ერთეული. შდრ. ასევე: to drop a glass vs to drop a hint; to take sth (a coat) to the dry cleaner's vs to take sth to heart; to abandon a ship vs to abandon hope და ა.შ.

ეს ნიმუშები მკაფიოდ გამოკვეთილ კონტრასტს ემყარება და არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს შემასმენლის დასახელებულ სახეობათა გამიჯვნა: დამოწმებულ წყვილებულთა პირველი წევრი წინადადებაში მარტივი ზმნური შემასმენელია მასზე დართული პირდაპირი დამატებით: to drop what? to take what? აქ a glass, a coat პირდაპირი დამატებაა. მეორე შემთხვევაში კი მნიშვნელობის გადატანობა ერთ სემანტიკურ და სინტაქსურ მთლიანობად გარდაქმნის სტრუქტურას, რის გამოც, იდიომის სემანტიკიდან გამომდინარე, ამგვარი კითხვის დასმა (to drop what? – a hint) საკითხის არსს სცდება. აქ (და მომდევნო მაგალითებში) სახეზეა ბინარული ოპოზიცია: თავისუფალი შესიტყვება vs იდიომა/ფრაზეოლოგიზმი. შესაბამისი კვალიფიკაცია: to drop a hint, to take sth to heart – ლექსიკურად ესაა ზმნური ფრაზეოლოგიზმი, რაც შემდგომ, მეტყველებაში გადართვისას სინტაქსურად რთულ ფრაზეოლოგიურ შემასმენელს იძლევა. აღნიშნული სინტაქსური კვალიფიკაცია აქ მეტაფორულობას ემყარება, რაც ფორმისა და შინაარსის განუყოფელ ერთიანობაზე მეტყველებს.

(ბ) მორფოლოგიური თავისებურებანი. ლექსიკურ იდიომებში გვხვდება მორფოლოგიური ტრანსპოზიციის ნიმუშები. ჩვეულებრივ ესაა გაარსებითებული ზედსართავი, ზოგჯერ კი ზმნაც (ხაზგასმული): to make the best of sth; to come out of the blue, to get a move on, to be on the go/ on the run და მისთ. სახელის მიმნიშნებლები ანუ „გადამრთველები“ (markers, shifters; აქ: არტიკლი, წინდებული) ორმაგადაა ხაზგასმული. არის ე.წ. „ნულოვანი გადამრთველიც“ (to think big), სადაც თვით მმართველი სიტყვა ანუ ზმნა განსაზღვრავს მარჯვენა „პარტნიორის“ მორფოლოგიურ სტატუსს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ

ასპექტურ კომპეტენციათა შეზღუდულ პირობებში გონივრულია ზემოხსენებულ საკითხთა გვერდის ავლით ლექსიკის პრობლემატიკით შემოვიფარგლოთ – დასაფიქრებელი და დასაძლევია აქაც ბევრია. აღნიშნული არ შეეხება წინდებულსა და არტიკლს – ისინი ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ. მეტყველების ეს მეორეხარისხოვანი ნაწილები არა თუ დამხმარე, არამედ, სიზუსტით სწავლების თვალსაზრისით, მძლავრზე მძლავრი სიტყვებია და მათ „ძალმოსილებას“ არაერთი ფაქტორი განაპირობებს. ამჯერად მხოლოდ ორიოდე ნიმუშით შემოვიფარგლები: She told him to his face that...; to make ✓ fortune vs to come into a fortune. რატომ წინდებული *to* (*to the face*) და არა, ვთქვათ, *in*? არსებითს *fortune* რატომ ახლავს ერთ შემთხვევაში ნულოვანი, მეორეში კი – განუსაზღვრელი არტიკლი? მორფოლოგიური პლანის ამგვარი სირთულეები ახსნადობის ნაკლებობასა თუ დეფიციტში მდგომარეობს – არ არის პასუხი (სიზუსტით სწავლების) მთავარ და არსებით კითხვაზე know-why? მნიშვნელობის დაბინდულობა, რაც ახსნადობის არქონა-უკმარისობას ხშირად თან სდევს ხოლმე, იდიომატურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

ამგვარად, დასახელებული ფორმულების ძირითადი კომპონენტი არის ზმნა, ზოგადად თუ ვამბობთ ან სიტყვარში აღვნიშნავთ – ზმნის საწყისი ფორმა ანუ ინფინიტივი.

როგორც ვიცით, ინფინიტივი ზმნის უპირო ფორმასა და ამ ფორმით ვეცნობით ხოლმე ყოველ ზმნას, როგორც ახალ ლექსიკურ ერთეულს; თუმცა საანალიზო ერთეულებში უცნობი თუ გასაცნობი ზმნა იშვიათად გვხვდება – თითოეული მათგანი ხმარების მაღალი სიხშირით გამოირჩევა და სტუდენტი მას, ჩვეულებრივ, კარგად იცნობს. ესენია: to make, to do, to put, to go, to fall და მისთ. სირთულე ზმნის გარემოცვასა და იმ კავშირებში უნდა ვეძიოთ, რომელსაც საკვანძო სიტყვა „პარტნიორებთან“ ამყარებს, რათა მათთან ერთობლიობაში შექმნას ახალი ლექსიკური ერთეული, ახალი იდიომა ანუ ფრაზეოლოგიური ერთეული. ნიმუშები: to make haste, to make headway, to meet a (tough) deadline, to lay waste, to sit for an exam, to take sb. unawares და ა.შ. მაგალითები:

47. It didn't worry me at all, I took it all in my stride (Foley 2008, 25).

48. It was very hard for the first year and we nearly changed our minds. (...). we knew nothing about farming olives or how to run our own business. But now things are much better, and we enjoy working together. I'm glad we didn't have a change of heart (Clare and Wilson 2009, 174).

მაღალი სიხშირის ზმნათაგან უხვადაა წარმოდგენილი ის, რასაც ნორმატიული გრამატიკის ენაზე მთავარი/აზრობრივი/ სრული პრე-

დიკაციის ზმნა (lexical verbs (Quirk et al. 1982, 32) ჰქვია: to give, to put, to set და მისთ. ზოგადად რომ ვთქვათ, ესაა ზმნა, რომელიც ნახევრადდამხმარე (to seem, to become, to be; can, must და სხვ.) და დამხმარე ზმნებისაგან განსხვავებით, ლექსიკურ მნიშვნელობას ინარჩუნებს; თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზმნური ფრაზეოლოგიზმის კონტექსტში იგი გარკვეულ სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის (ეს ერთერთი სირთულეთაგანია, რაც აღნიშნული კონსტრუქციის სწავლებას მუდმივად თან ახლავს) და მის მარჯვენა პარტნიორთან ერთობლიობაში ქმნის შედგენილ ზმნურ ფრაზეოლოგიურ შემასმენელს. წინამავალ მაგალითებში (მაგ. 47, 48) ხაზგასმული სტრუქტურებიდან სამი ამგვარი შემასმენლის ნიმუშია, ხოლო *to run our own business* – დამატების ნაწილი.

ჩანართი 1: როგორც ვიცით, დამხმარე ზმნას ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. იგი ზმნა-შემასმენლის გრამატიკული კატეგორიების (დროის, გვარის და ა.შ.) გამოხატვას ემსახურება. ნახევრადდამხმარე ზმნათაგან ჩვენს საანალიზო მასალაში მეტწილად მაერთი ზმნები გვხვდება (რომელთაგან სიხშირით უპირველესია to be).

მაერთი ზმნა ორმაგი ბუნებისაა: გამოხატავს ძირითად ზმნურ კატეგორიებს და ამასთანავე გარკვეულწილად ლექსიკურ მნიშვნელობასაც ინარჩუნებს. გარკვეულწილად ნიშნავს კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის ზოგადი, უფრო განყენებულით ჩანაცვლებას. როგორია ეს ზოგადი მნიშვნელობა? მაერთი ზმნა აღნიშნავს: (ა) რაიმე თვისება-მდგომარეობისა თუ სტატუსის არსებობას, სუბიექტის მყოფობას ამა თუ იმ სტატუსსა თუ მდგომარეობაში, (ბ) მათ შენარჩუნებას, უცვლადობას და (გ) მათ შექმნას, ერთი მდგომარეობიდან, სტატუსიდან მეორეში გადასვლას. ამ ჯგუფთა სახელწოდება და მაგალითები: (ა) link-verbs of being: He was silent, She is a student; (ბ) link verbs of remaining: He remained/kept silent; (გ) link-verbs of becoming: It was getting dark. He fell silent; She became a fashion-designer. ამათგან პირველი ორი სახელის სტატიკური მახასიათებელია, მესამე კი – დინამიკური. მაერთის ამგვარ სემანტიკას ზუსტად ასახავს ანგლისტიკაში დამკვიდრებული ტერმინოლოგია. ‘current’ copulas vs ‘resulting’ copulas (Quirk et al. 1982, 307).

ნაშრომში არაერთხელ დამოწმებული English Idioms and How to Use Them (Seidl and McMordie 1979), რომელიც ინგლისურის უცხოელ შემსწავლელთათვის არის გამიზნული, გამოყოფს აგრეთვე დაბალი სიხშირის ზმნათა შემცველ იდიომებს. საანალიზო მასალა ამგვარადაა ფორმულირებული: Idioms with common verbs: to bring, to come, to do და მისთ. vs Idioms with less common verbs: to catch sb red-handed, to roll one’s sleeves up, to smell a rat და სხვ. (Seidl and McMordie 1979, 178–201).

ორთავე ნუსხაში წარმმართველია სრული პრედიკაციის ზმნა. მეტად საყურადღებოა, რომ, როგორც ითქვა, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და სწორედ ეს განაპირობებს მის მეტ-ნაკლებ მეტაფორულობას და ერთიან იდიომატურ სტრუქტურაში ჩართულობას.

გაანალიზებული მასალა მოწმობს, რომ მოცემული ჯგუფის იდიომები წინადადებაში (პირიანი თუ უპირო) ზმნისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითები:

49. When you are young, you can't see the point of some things... (Acklam and Crace 2009, 169) (შედგენილი ზმნური მოდალური შემასმენლის ნაწილი).

50. I began to have itchy feet and wanted to leave work and do something exciting (Acklam and Crace 2009, 170) (შედგენილი ზმნური ასპექტური შემასმენლის ნაწილი).

51. ... once he puts his mind to something ... he usually finishes it (Acklam and Crace 2009, 165) (შედგენილი ზმნური ფრაზეოლოგიური შემასმენელი).

52. ...many celebrities need that publicity to keep them in the public eye (Clare and Wilson 2009, 169) (მიზნის გარემოება).

ყურადღებას იმსახურებს განკერძოებული გარემოების ცალკეული შემთხვევები:

53. To put two and two together, the detective's question was definitely intended as a red herring to divert Mrs. Fielding's attention from the main subject.

54. Turning a deaf ear to our request, he hurriedly made for the door.

ანგლისტიკაში მიღებული ტერმინოლოგიით მორფოლოგიისა და სინტაქსის ენაზე ხაზგასმული სტრუქტურები (მაგ. 53, 54) შესაბამისად განიხილება როგორც non-finite clauses და sentence adverbials (Leech and Svartvik 1983, 151, 121).⁵ აღნიშნული წყარო შეიცავს თავს სათაურით Meanings in Connected Discourse, სადაც ვკითხულობთ: Clauses are often connected not only because of a meaning-link (...), but because they **share** some content (Leech and Svartvik 1983, 145). ეს ცალსახად იძლევა მინიშნებას დეიქტურ ფუნქციაზე, რასაც დამოწმებულ მაგალითებში

5 კომენტარს ითხოვს ტერმინი *clause*. გრამატიკული ნორმის მიხედვით, მისი ქართული შესატყვისია *დამოკიდებული წინადადება*. თუმცა აღნიშნულ მოცემულობას (To put..., Turning...) წინადადებას ვერ ვუწოდებთ – წინადადება, როგორც წესი, პრედიკაციის (ქვემდებარე-შემასმენლის) მქონე სინტაქსური ერთეულია, რასაც ხაზგასმული იდიომები არ შეიცავს. ამდენად, ამ შემთხვევაში ვამჯობინებ ტერმინს *ზმნის უპირო ფორმის შემცველი სტრუქტურა* (იხ. Finite, non-finite and verbless clauses, Leech and Svartvik 1983, 193); sentence adverbials – *განკერძოებული გარემოებანი*.

მოქცეული საანალიზო სტრუქტურები ასრულებენ. უფრო დავაკონკრეტებ სათქმელს: განმარტება: ... to put two and two together *not fml* – to make a guess, esp. a correct guess, from what one already knows or has seen (Longman Dictionary of English Idioms 1980, 352). მიუხედავად ამისა ეს დამოწმებულ ტექსტს (მაგ. 53): დედუქციის საფუძველზე კეთდება სათანადო დასკვნა. დაისმის კითხვა: კონკრეტულად რის საფუძველზე? აზრის სისრულისათვის აუცილებელია, მივმართოთ წინამდებარე კონტექსტს, რადგან ამოსავალი ერთიანი შინაარსია (შდრ. ზემოდამოწმებული: *a meaning link... they share... they share some content*). ამით დეიქტური კავშირი შედგა, რაც, ვფიქრობ, ნათლად წარმოაჩინეს საანალიზო სტრუქტურის (*To put two and two together*) და, ზოგადად, დეიქსისის კიდევ ერთ, დისკურსის მარგანიზებელ ფუნქციას (იხ. Кирвалидзе 1991). აქვე დავურთავ ციტატას მხატვრული ტექსტიდან, რომელსაც დასახელებული მაგალითი მიემართება: She smiled with a distinct edge of coldness. “I do think this is the most terrible red herring, sergeant. What worst there was, was long over“ (Fowles 1980, 185). მივაქციოთ ყურადღება დეიქსისის შემცველ სხვა ერთეულებს (ხაზგასმულია). ისინი აძლიერებენ დასახელებულ ფუნქციას, თუმცა რეფერენციულ მიმართებათა პლანში ნაცვალსახელი *this*, სუბსტანციური და ზმნური ფრაზეოლოგიზმები (შესაბამისად: *the red herring; To put two and two together*) მნიშვნელოვანწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს საკითხი ანალიზის ცალკე საგანს შეადგენს.

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს **ზმნა to be**.

არის იდიომათა არც თუ მცირე რიცხვი, რომელთა მარცხენა „პარტნიორად“ სწორედ ეს ზმნა გვევლინება. ამასთან, ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, იგი არის მაერთი ანუ ნახევრადდამხმარე ზმნა და გამოხატავს მყოფობას, რაიმე ნიშან-თვისების არსებობას. მხედველობაში მაქვს სუბსტანციური და ზედსართაული ფრაზეოლოგიზმები: ისინი აღნიშნულ ზმნას დაერთვიან და მასთან ერთობლიობაში შედგენილ სახელად შემასმენელს ქმნიან, რომელიც ქვემდებარეს აკონკრეტებს და გამოარჩევს იდიომით გამოხატული რაიმე ნიშან-თვისებისა თუ კუთვნილების მიხედვით (იხ. გოგუაძე 2016, მაგ. 24გ, 30, 31. გვ. 284–288). სხვა ნიმუშები: to be a pain in the neck, to be as happy as a lark (sandboy), to be as mad as a hatter და მისთ. მაგალითები:

55. He doesn't find it easy to make friends; in fact, he's rather a cold fish (Foley 2008, 43).

56. Rises in prices but not wages seem to be the order of the day (Seidl and McMordie 1979, 169).

57. He was proud as a peacock when he passed his driving test at the first attempt (Longman Dictionary of English Idioms 1980, 264).

არის მაგალითები, რომელთაც, მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა, გვერდს ვერ ავუვლით. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ისინი ორგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარებიან და ითხოვენ. ნიმუშები: to be in (the) seventh sky, to be neither here nor there, to be in deep water(s) და სხვ. ეს ორგვარი თუ ორმაგი ინტერპრეტაცია ერთი მხრივ (ა) სტრუქტურულ-გრამატიკული, მეორე მხრივ კი – (ბ) შინაარსობრივ-სემანტიკური მონაცემებით არის ნაკარნახევი და ამავე მონაცემებითვე უნდა დადგინდეს ცალსახა პასუხი.

(ა) საანალიზო ზმნას მოსდევს წინდებულიანი არსებითი სახელი ან ზმნიზედა. ნორმატიული გრამატიკის თანახმად, ამგვარ „პარტნიორთა“ გარემოცვაში to be არის: მორფოლოგიურად – სრული პრედიკაციის ანუ აზრობრივი/მთავარი ზმნა, სინტაქსურად – მარტივი ზმნური შემასმენელი თანმხლები გარემოებით. შდრ. be at school, to be far (away) და მისთ. ამრიგად, თუ გრამატიკული კრიტერიუმით შემოვიფარგლებით და მნიშვნელობის უგულვებელყოფით ყველა გასაანალიზებელ სტრუქტურას ერთ შინაარსობრივ „ჩარჩოში“ მოვაქცევთ, მაშინ ფრაზებში to be in the clouds, to be nowhere, to be (all/totally) at sea to be არის სრული პრედიკაციის ზმნა თანდართული გარემოებით, რაც არასწორია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სტრუქტურის ენით სათქმელი უკვე ითქვა და ამჯერად სემანტიკაა გასათვალისწინებელი.⁶

(ბ) ცხადია, ფრაზებში to be in the clouds/at sea/nowhere, to be at a loss ხაზგასმული წინდებულიანი სახელი არ აღნიშნავს ადგილმდებარეობას, ისევე როგორც limelight იდიომაში to be in the limelight პირდაპირი მნიშვნელობით ისტორიული წარსულის ნაწილს შეადგენს,⁷ აქ კი იგი გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და to be-ზმნა მასთან ერთობლიობაში პოპულარობასა და საყოველთაო აღიარებაზე მიუთითებს, გარკვეულ ნიშან-თვისებებს მიაწერს სუბიექტს, ამ სახით და ამგვარად ახასიათებს მას. მსჯელობის ეს ხაზი შინაარსობრივ მხარეს ეხება და ნათლად წარმოაჩენს, რომ to be-ზმნის მარჯვენა „პარტნიორი“ სუბიექტის იდიომატურად მარკირებული მსაზღვრელ-მახასიათებელია, ხოლო to be ამ სტრუქტურაში არის სუბიექტისა და მისი დისტანციური მსაზღვრელის შემაკავშირებელი ელემენტი ანუ მავრთი (link-verb/copula). ქვემოთმოყვანილი განმარტებანი არაორაზროვ-

6 ალბათ აქ შესაძლებელია გაივლოს ერთგვარი პარალელი, თუ როგორ ჩაანაცვლა ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, კვლევაში სტრუქტურალიზმი სემანტიკამ გასული საუკუნის შუა ათწლეულებში.

7 limelight – დრამონდის სინათლე, გავარვარებული კირის სინათლე (სცენის გასანათებლად) (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, XIV რვეული 2012, 22, 140).

ნად ადასტურებენ ამას: *to be nowhere – to be of no importance, not showing success or capabilities; to be at the helm – to be in command, to be the leader; to be at large – to be free; to be in deep water(s) – to be in (dangerous) difficulties (e.g. financially) (Seidl and McMordie 1979, 168–171), to be a pain in the neck – to be very annoying (Acklam and Crace 2009, 71); to be an awkward customer – to be a difficult person to deal with (ibid.). ამასვე ადასტურებს ჩანაცვლების მეთოდი: მყოფობა შესაძლოა გარდაიქმნას სხვა მდგომარეობაში გადასვლის დინამიკად: to be a pain in the neck vs to turn into/ to become a pain in the neck, to be at ease vs to put sb at ease და სხვ. მაგალითები:*

58. I had no idea that Keith was leaving the country. He doesn't tell me his plans, so I was completely in the dark (Seidl and McMordie 1979, 171).

59. ...her vocabulary and reading skills are now streets ahead of other children of her age (Acklam and Crace 2009, 110).

ვფიქრობ, სემანტიკური არგუმენტაცია სავსებით დამაჯერებელი უნდა იყოს: *was in the dark=was unaware; are streets ahead=are much better – აქ მოცემული იდიომები შედგენილი სახელადი შემასმენლის ნაწილს წარმოადგენს, თავად ზმნა to be კი, როგორც ითქვა, მაერთია და არ არის იდიომატურად მარკირებული. შესაბამისად, შემასმენელს was the making of⁸ მომდევნო წინადადებაში უნდა მიეცეს იდიომის შემცველი შედგენილი სახელადი შემასმენლის კვალიფიკაცია.*

60. His unexpected success in the election was the making of Herbert's political career (Seidl and McMordie 1979, 168).

როგორც გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, *to be*-მაერთი ზმნა ძირითადად არის ფრაზეოლოგიზმთა/იდიომათა „რეალიზატორი“, აქტუალიზატორი ანუ მეტყველებაში გადამრთველი. ამ ფრაზეოლოგიზმთა უმეტესობა შემასმენლის სახელადი ნაწილია. ამგვარ კონტექსტში აღნიშნული ზმნის ხმარების მაღალი სიხშირე თვით მისი სემანტიკით, მყოფობის ანუ ეგზისტენციალური შინაარსით აიხსნება: ესაა ქვემდებარის დისტანციური მახასიათებელი – გადატანითი მნიშვნელობით მოწოდებული ამა თუ იმ ნიშან-თვისების ფლობა, ქონა, რომლის აქტუალიზაცია ანუ მეტყველებაში გადართვა *to be*-ზმნაზე „გავლით“ ხდება.


ნიშანდობლივია, რომ ამ ჯგუფის იდიომათა განმარტებანი, როგორც წესი, ასევე *to be*-მაერთზეა აგებული. მოვიხილოთ სტატისტიკას: 1) ზემომითითებულ მაგალითებში (იხ. პუნქტი (ბ), მსჯელობის ტექსტში ჩართული ცერად ნაბეჭდი მონაკვეთები) *to be* უცვლელად ყველ-

8 be the making of (not fml.) – to cause the improvement of successful development of (Longman Dictionary of English Idioms 1980, 210).

გან წინ უძღვის განმარტებას როგორც ერთგვარი გასაღები – ახსნა მისი მოხმობითა და მეშვეობით ხდება; თავად to be ყოველივე ახსნის მიღმა დგას, არ საჭიროებს, არ ითხოვს მას, რადგან არ შეადგენს იდიომის ნაწილს – to be მასზე დართული იდიომის აქტუალიზატორია/idiom-presenter და, როგორც ითქვა, მეტყველებაში გადამრთველის ფუნქციას ასრულებს; 2) კვლავ სტატისტიკა: (იხ. Seidl and McMordie 1979, 168–171) ორასამდე სტატიითა და საილუსტრაციო მაგალითებით. პირველი ასეულიდან to be-ზმნის გვერდის ავლით მხოლოდ ათი-ოდეა განმარტებული.

წარმოვადგენ სქემას პირობითი სათაურით: to be – მეტყველებაში იდიომათა აქტუალიზატორი/გადამრთველი. სასურველია ამ (ისევე, როგორც ნებისმიერ) სქემაზე გრაფიკული ნიშნებით (ხაზგასმით, ფერადი კოდით და სხვ.) გამოიყოს დამხმარე სიტყვები (არტიკლი, წინდებული ან მათი არყოფნა):

სქემა 5



იდიომატურ გამოთქმათა აქტუალიზაცია ხმარების მაღალი სიხშირით გამორჩეული to be-ზმნის კიდევ ერთ, ამასთან ძალზე მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა ჩაითვალოს. შევნიშნავ, რომ საანალიზო ზმნის მიერ აქტუალიზებულ იდიომათა ნაწილი სტრუქტურით ერთსიტყვიანია. ამ ერთსიტყვიან იდიომას ზოგჯერ არსებით სახელად კონვერტირებული ზმნა ქმნის: to be in the know (← to know), to be on the move (← to move).

მრავალმნიშვნელობიანობისა და მრავალფუნქციურობის გამო, დასახელებული ზმნისადმი მკვლევართა ინტერესი საკმაოდ დიდია. ასე, მაგალითად, ზემოხსენებული ნაშრომის ავტორები ცალკე გამოყოფენ თავს სათაურით Idioms with the verb To BE (Seidl and McMordie 1979, 168–177). აქვეა მოცემული ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა ფართო სპექტრი განმარტებებითა და რიგ შემთხვევაში – მაგალითებით, რაც სავსებით აკმაყოფილებს მაღალი დონის უცხოელ შემსწავლელთა მოთხოვნებს და კარგ სამსახურს (გა)უწევს საკითხით დაინტერესებულ მკითხველს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული წყა-

რო ლექსიკოგრაფიული ხასიათისაა და არ აკონკრეტებს საანალიზო სტრუქტურათა სინტაქსურ-მორფოლოგიურ პარამეტრებს. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულ მახასიათებლებს გარკვეული ყურადღება დაეთმო; ამიტომ ამ მიმართებით შევნიშნავ შემდეგს: მითითებულ წყაროს (Seidl and McMordie 1979, 182–186) იდიომათა ნუსხაში შეაქვს რამდენიმე კონსტრუქცია, რომლებიც ფაქტობრივად არა ფრაზეოლოგიზმს, არამედ შედგენილ სახელად შემასმენელს წარმოადგენს (მაერთი ზმნითა და ზედსართავით გამოსატყუი სახელადი ნაწილით). ესენია: to get drunk, to go native და რამდენიმე სხვა.⁹ მაერთი ზმნები to get, to go რაიმე ნიშან-თვისების შექცენას, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას, ხოლო to hold მათ შენარჩუნებას, უცვლადობას აღნიშნავს (იხ. მაერთი ზმნათა კატეგორიზაცია, წინამდებარე ჩანართში. შდრ. იქვე დამოწმებული ტერმინოლოგია: ‘current’ vs ‘resulting’ copulas). დავაკვირდეთ კონკრეტულ წყვილებს: to get drunk vs to get the sack; to go native vs to go for a song; to hold true vs to hold one’s tongue. ამ ბოლო წყვილების შესახებ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ აქ მეორე კონსტრუქციას (to hold one’s tongue) გადატანითი მნიშვნელობა აქვს. იგი იდიომატურად მარკირებულია და ქმნის: მორფოლოგიურად – ზმნურ ფრაზეოლოგიზმს (საკვანძო სიტყვა ხაზგასმულია), ხოლო სინტაქსურად – ფრაზეოლოგიურ შემასმენელს. იგივე ეხება კონსტრუქციებს to get the sack, to go for a song. ვფიქრობ, ალტერნატიული ინტერპრეტაცია ნაკლებსავარაუდოა, რადგან ხაზგასმულ ზმნათა მარჯვენა „პარტნიორი“ არის არსებითი სახელი, რომლის აღსანიშნი საგანია და არა, განსხვავებით ზედსართავისაგან (drunk, native/sour, true), რაიმე ნიშან-თვისება, რასაც ამ შემთხვევაში სახელადი ნაწილი უნდა გამოხატავდეს.

აღნიშნულ საკითხზე საუბარს ამგვარად დავასრულებ: კონსტრუქციის ლექსიკური რაობის დასადგენად (არის თუ არა იგი ფრაზეოლოგიზმი) კვლავ გრამატიკას მივმართე, არგუმენტად გრამატიკული მახასიათებელი გამოვიყენე. ეს ის ჩვეული შემთხვევაა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ლექსიკისა და გრამატიკის განუყოფელ ერთიანობასა და ურთიერთგანპირობებულობას. ამასთან, გრამატიკის მწყობრი სისტემურობის შედეგად ადვილია ენობ-

9 ამათგან to go native ყველაზე რთულია, ამასთან იგი იშვიათად იხმარება. დავურთავ განმარტებას: to go native *not fml* (usu. of a European person in a non-European country) (Longman Dictionary of English Idioms 1980, 230); to adopt the customs, dress, etc. of a foreign country in which one is living, to live like a native of that country (Seidl and McMordie 1979, 184). შდრ. სტრუქტურის to go + adj უფრო ხშირად ხმარებული შემთხვევები, სადაც არაორაზროვნად „იკითხება“ to go-მაერთის სემანტიკა – ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: The milk went sour; This used to be a state school, but it’s gone independent (Longman Dictionary of Contemporary English 1978, 485).


რივ მოცემულობათა უტყუარობის გადამოწმება/ვერიფიკაცია. ლექსიკის გრამატიზაცია თანამედროვე ინგლისურში მიმდინარე აქტიური პროცესია. ეს უწინარეს ყოვლისა, გრამატიკის იდიომატურობის საკითხია. აქ კი მხოლოდ იმის თქმა იქნებოდა მართებულის, რომ საქმე ლექსიკაზე უფრო ვრცელ არეალთან გვაქვს, საქმე გვაქვს სემანტიკასთან, რომელიც, ცხადია, უფრო ტევადი ცნებაა: ცალკეული ზმნა (იქნება ეს to go, to be, to become თუ სხვა) საკუთარი მნიშვნელობის მქონე კონკრეტული ლექსიკური ერთეულია, მაგრამ ფუნქციურ და სემანტიკურ ჭრილში ისინი მნიშვნელოვანწილად უახლოვდებიან ერთმანეთს; კერძოდ, ისინი არიან მაერთნი, უფრო კონკრეტულად: ისინი სუბიექტს მის დისტანციურ მსაზღვრელთან (subject complements, Quirk et al. 1982, 21) აკავშირებენ, რასაც წინამაგვალ მსჯელობაში უკვე არაერთხელ შევხვებ.

სემანტიკური, ლექსიკური და გრამატიკული ფაქტორების მოშველიებით და გაანალიზებულ მასალაზე დაყრდნობით შევეცადე დამედგინა, რომ to be ჩვეულებრივ არის იდიომების არა შემქმნელი, არამედ აქტუალიზატორი, მათი მეტყველებაში გადამრთველი ზმნა – საფიქრელია, რომ მყოფობის ცნება ნაკლებად ექვემდებარება ან იქნებ იმთავითვე მოიცავს და იტევს სემანტიკურ სახეცვლილებას, რაც თან ახლავს მნიშვნელობის გადატანითობას და რაც იდიომატურობის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, მაერთის ფუნქციაში აღნიშნული ზმნა იშვიათად (ან თითქმის არ) ქმნის ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს. ნაშრომის ეს ნაწილი კი სწორედ ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს შეეხება. დაისმის კითხვა: მაშინ რით აიხსნება ამ კონტექსტში to be-ზმნის საკმაოდ ვრცელი ჩართვა? კონტრასტის ფაქტორით. კონტრასტი, როგორც შემეცნების ერთ-ერთი უტყუარი წყარო, გვეხმარება ვრცელი მასალის აღწერა-კლასიფიკაციასა და უკეთ გაგებაში. მოძიებულ მასალაში to be-მაერთს უპირისპირდება (ძირეული ფუნქციით) სრული პრედიკაციის ზმნები, რომლებიც თავად ქმნიან იდიომებს და ამასთანავე მათ ბირთვს, მათ საკვანძო სიტყვას წარმოადგენენ. ცხადია, ეს ზმნები იმთავითვე მოიაზრება მათ მიერ შექმნილი იდიომატური ერთეულების აქტუალიზატორებად, მაგრამ ფუნქციურად აქ ქმნადობაა უწინარესი. ამრიგად, თუ მსჯელობის ამ ხაზს მივყვებით, მაშინ იდიომათა მარცხენა „პარტნიორი“ ზმნები პირობით ორ ჯგუფად იყოფა: **იდიომათა აქტუალიზატორი vs იდიომათა წარმომქმნელი ზმნები/ idiom-presenting vs idiom-generating verbs; idiom presenters vs idiom-generators.**


მაშასადამე, ამ დაპირისპირებაში ერთ მხარესაა (ძირითადად) მაერთი ზმნა to be, მეორე მხარეს კი – ის, რაც ნორმატიულ გრამატი-

კაში აზრობრივ ზმნად იწოდება: to put, to set, to take და ა.შ. ამ უკანასკნელთა მიერ წარმოქმნილი იდიომების რიცხვი ძალზე დიდია; ასევე დიდია და არაერთგვაროვანი ის სირთულეები, რომელთაც სტუდენტი მათზე მუშაობისას აწყდება. თუ ინგლისური ლექსიკის სირთულეს გარკვეულწილად მისი იდიომატურობა განაპირობებს, იდიომატიკის სირთულე, როგორც გამოცდილება და მასალა მკარნახობს, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს, აქ, ლექსიკურთან ერთად, დასაძლევია ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა პრობლემა. ცხადია, ამ შემთხვევაში პრობლემა და სირთულე ძნელად მისაღწევ სიზუსტესა და შეცდომის დაშვების მაღალ ალბათობას გულისხმობს. ვფიქრობ, ქვემოთმოყვანილი სქემა, გრაფიკის ენასა და ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, გააადვილებს როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული ხასიათის პრობლემათა დაძლევას. გრაფიკის ენა კი ამგვარია: ესაა ზმნაზე ანუ საკვანძო სიტყვაზე ორიენტირებული მარჯვენა „პარტნიორების“ სხმული; ისრით დაბოლოებული ხაზები პირობითი ნიშანია იმისა, რომ თავად ეს ზმნა არის შესაბამისი იდიომის წარმომქმნელი ანუ გენერატორი (შდრ. სქემა 5, რომელიც იქ მითითებულ მოსაზრებათა გამო ამგვარ პირობით ნიშანს არ შეიცავს).

სქემა 6



სქემა 7



ლექსიკურ სირთულეს იშვიათად ქმნის ზმნის მარჯვენა გარემოცვა, მით უფრო – თავად ზმნა, რომელიც ხმარების მაღალი სიხშირით გამოირჩევა. სირთულეს სტრუქტურის ამ ორი ნაწილის ერთობლიობა, მათი შეკავშირება წარმოშობს (გავიხსენოთ იდიომის განმარტება, რომელიც შემადგენელ ნაწილთა და მათ მიერ წარმოქმნილი მთელის მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებას შეეხება (გოგუაძე 2016, 275)). ეს შინაარსის პლანის საკითხია. აქ მხოლოდ ერთი ამგვარი დაკვირვებით შემოვიფარგლები. შევადაროთ: ა) to do one's best vs to do a subject; ბ) to take sth in hand vs to take one's time. სტუდენტი ამ წყვილეთა პირველ წევრს გაცილებით უფრო ადვილად იმახსოვრებს და სიზუსტითაც გადააქვს მეტყველებაში, აქტიურ მარაგში, ვიდრე მეორეს. მიზეზი მარტივია: ქართულ ენაში გვაქვს მათი თითქმის ზუსტი შესატყვისები (*ყველაფერი გააკეთო... , ხელში აიღო (საქმე)...*). გამოცდილებიდან გამომდინარე, დავძენ: ამგვარი ენათშორისი თანხვედრის არქონისას დიდი ალბათობით ხდება მშობლიური ენის უცხოურში „ჩარევა“ ანუ ინტერფერენცია, რასაც ამგვარივე ალბათობით თან ახლავს შეცდომა. მშობლიურ ენასთან იდიომის ლექსიკურ/სიტყვასიტყვით არდამთხვევას განვიხილავ როგორც არა-ზუსტი მეტყველების ერთ-ერთ წყაროს. შეცდომა-უზუსტობის აღსაკვეთად, როგორც წესი, გრაფიკის ენასა და ვიზუალურ მექანიზმებს მოვიხმობ: სქემებად გადანაწილებული სხმულები, ფერადი კოდი თუ ინფორმაციის ვიზუალურად გადაცემის (მარკირების) სხვა საშუალებანი. ცხადია, საჭიროების შემთხვევაში აქვეა მიკროკონტექსტით წარმოდგენილი მაგალითი (იგულისხმება სიტყვარის გვერდი Word Power (იხ. გოგუაძე 2014, 343–344)) – ეს ყოველივე უზუსტობის დაძლევის საკმაოდ ეფექტური ხერხია, თუმცა იგი მექანიკურ ხასიათს ატარებს. დამახსოვრების თვალსაზრისით ბევრად უფრო საიმედოა ახსნადობაზე აგებული მიდგომა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა იდიომატკაში, როცა გვაქვს პასუხი კითხვაზე know why, როცა იდიომის დასწავლას წინ უძღვის განმარტება, თუ რატომ ითქმის ასე და არა სხვაგვარად. ამ კითხვითა და მიდგომით საკითხი კვლავ სტრუქტურულიდან შინაარსობრივი ანალიზის ტრილში გადადის (შდრ. გოგუაძე 2019, 272–279) – არ არის ადვილი, ხშირად კი პრობლემურიცაა ფორმისა და შინაარსის სრული განცალკევება-გამიჯვნა. მოვიხმობ მაგალითს ჩვენი სახელმძღვანელოდან: to take the bull by the horns – to deal with sth. difficult boldly and without delay (Acklam and Crace 2009, 42). ეს კულტუროლოგიური ნასესხობაა თანამდევნი (არა მხოლოდ) ვიზუალური ხატითა და შესაბამისი მიმართებებით, რომელიც აღმნიშვნელსა და აღსანიშნს (ენობრივ ერთეულსა და ცხოვრებისეულ/ექს-

ტრალინგვისტურ ფაქტს) შორის შედგა. აქ ითქვა მთავარი, თუმცა ზოგადად მსჯელობის ეს ხაზი – ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებათა წვდომა (the know-why of the form-and-content correlation) – განვრცობასა და სრულყოფას ითხოვს, რადგან იგი მეტყველებაში იდიომის სიზუსტით გადატანის ერთ-ერთი საგულისხმო წინაპირობაა. ეს დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს.

მეტყველების სიზუსტის მისაღწევად სასურველია, როგორც არაერთხელ აღინიშნა, არტიკლებისა და წინდებულების ხაზგასმა. ამ მიმართებით შესაძლოა, გარკვეულ სირთულეს აქ (და, საერთოდ, ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში) თავად საკვანძო სიტყვაც შეიცავდეს. მხედველობაში მაქვს ზმნის გრამატიკული კატეგორიები. ეს სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის საკითხია, ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც გვაფიქრებინებს შემდეგს: ცალკეულ იდიომებთან „ურთიერთობა“ სწავლების ადრეულ ეტაპზეცაა შესაძლებელი, მაგრამ იდიომატიკის სრულფასოვანი დაუფლება, როგორც წესი, ლექსიკა-გრამატიკის ცოდნასა და ენობრივი კომპეტენციის სათანადო დონეს ითხოვს და ემყარება.

რეზიუმე

1. ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს, ჩვეულებრივ, მაღალი სიხშირის ზმნები ქმნიან. ამ ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურა ბინარულია; საკვანძო სიტყვა – ზმნა და მისი მარჯვენა „პარტნიორი“ – არსებითი სახელი, ზედსართავი ან ზმნიზედა. რიგი სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლებით ზმნური იდიომა არსებითად განსხვავდება იმავე სტრუქტურის მქონე თავისუფალი შესიტყვებისაგან. საყურადღებოა მორფოლოგიური ტრანსპოზიციის შემთხვევები, რასაც შესიტყვების დონეზე, „გადამრთველის“ მეშვეობით თუ მის გარეშე, თავად საკვანძო სიტყვა, ზმნა წარმართავს. მეტყველების სიზუსტის თვალსაზრისით, ასევე ყურადღებას ითხოვს წინდებულისა და არტიკლის იდიომატური ხმარება/არხმარება.

2. ზმნური ფრაზეოლოგიზმი აღნიშნული სახეობის იდიომათა მორფოლოგიური სტატუსია; სინტაქსურად ისინი წინადადებაში საკვანძო სიტყვის – (პირიანი თუ უპირო) ზმნისათვის დამახასიათებელ ფუნქციას ასრულებენ. აღინიშნება დეიქტური ხმარების ცალკეული შემთხვევები, რომლის დროსაც საანალიზო ერთეული დისკურსის მაორგანიზებელ ფუნქციას ითავსებს.

3. იდიომატიკასთან ასოცირებულ ზმნათაგან ხმარების მაღალი სიხშირით გამოირჩევა to be – იგი არაერთი სტრუქტურული სახეობის

იდიომას უწევს „პარტნიორობას“; ხოლო თავად მეტწილად იდიომატური მარკირების მიღმა დგას, რადგან, როგორც წესი, სრულად ინარჩუნებს მყოფობის (ანუ პირდაპირ) მნიშვნელობას. იგი არ მიეკუთვნება ფრაზეოლოგიზმთა წარმომქმნელი ზმნების რიცხვს. აღნიშნული ზმნის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა იდიომატურ კონტექსტში ამგვარია: to be ახდენს იდიომათა მეტყველებაში გადართვას/აქტუალიზაციას და ამრიგად არის მათი რეალიზატორი (idiom-presenter).

4. გაანალიზებული ჯგუფის საკვანძო სიტყვა, ზმნა, მეტ-ნაკლები ხარისხით სცილდება პირდაპირ მნიშვნელობას (ანუ განიცდის სემანტიკურ სახეცვლილებას), რის საფუძველზეც მარჯვენა „პარტნიორთან“ ერთობლიობაში წარმოქმნის ზმნურ ფრაზეოლოგიზმს. ზმნა ამ შემთხვევაში იდიომის შემქმნელია (idiom-generator) და იმავედროულად – აქტუალიზატორიც. ფუნქციურად ქმნადობაა უპირატესი. ამიტომაც მათ შეგვიძლია ვუწოდოთ იდიომათა წარმომქმნელი ზმნები (idiom-generators). ზმნისმიერი კონტექსტით შემოთავაზებული ფუნქციური დიქტომია *იდიომათა აქტუალიზაცია vs იდიომათა წარმოქმნა* (idiom presenting vs idiom-generating verbs) განხილული საკითხის არსს შეადგენს.

5. ზმნური ფრაზეოლოგიზმი, ისევე, როგორც ნებისმიერი იდიომა, სტრუქტურულ-სემანტიკურად ერთიანი ბლოკია. ამდენად, აუცილებელია მათი ამგვარადვე, ერთიან ბლოკად აღქმა და გააზრება. ხანგრძლივი და საიმედო დამახსოვრების მიზნით, როგორც ყოველთვის, მივმართავ ვიზუალური მეხსიერების ენას (გრაფიკულ საშუალებას: ფერად კოდს, შესიტყვებათა სქემებს, წიგნში ხაზგასმას და ა.შ.). იდიომად წოდებული ერთიანი ბლოკი (რომელიც სტრუქტურულად შესიტყვებაა) ამავე მიზნით საჭიროებს უფრო ფართო კონტექსტს – წინადადებაში ჩასმას (რაც აღინუსხება რვეულის გვერდზე Word Power (გოგუაძე 2014, 343)), გააზრებასა და დასწავლას.

საკვანძო სიტყვები: ბინარული ოპოზიცია – თავისუფალი შესიტყვება vs ზმნური ფრაზეოლოგიზმები. მნიშვნელობის დაბინდულობა (ambiguity) როგორც იდიომატურობის დიფერენციალური ნიშანი. სრული პრედიკაციის vs ნახევრადდამხმარე ზმნები. ფრაზეოლოგიურ ზმნათა დეიქტური/ტექსტის მაორგანიზებელი ფუნქცია. To be – იდიომათა აქტუალიზატორი ზმნა vs იდიომათა წარმომქმნელი ზმნები. ინტერფერენცია როგორც არაზუსტი მეტყველების შესაძლებელი წყარო. სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია და იდიომატიკის სწავლების სირთულეები.

დამოწმებანი

- გოგუაძე, ლიანა. 2012. აუდიტორიის პირისპირ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს) I. კადმოსი 4: 315–336.
- გოგუაძე, ლიანა. 2014. აუდიტორიის პირისპირ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს) II. კადმოსი 6: 323–361.
- გოგუაძე, ლიანა. 2016. აუდიტორიის პირისპირ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს) III. კადმოსი 8: 269–300.
- ინგლისურ-ქართული ლექსიკონი XIV რვ. 2012. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ლექსიკოლოგიური ცენტრი. თბილისი: გამომცემელი თინათინ მარგლიტაძე.
- Acklam, Richard and Araminta Crace. 2009. *Total English. Upper Intermediate. Students' Book*. Harlow: Pearson/Longman
- Clare, Antonia and J. J. Wilson. 2009. *Intermediate Total English. Students' Book*. Harlow: Pearson/Longman.
- Foley, Mark. 2008. *Total English. Upper Intermediate. Workbook*. Harlow: Pearson Education Limited.
- Fowles, John. 1980. *The Ebony Tower. Eliduc. The Enigma*. Moscow: Progress Publishers.
- Hornby, Albert Sydney. 2010. *Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English*. Editor Jonathan Crowther. Oxford: Oxford University Press
- Кирвалидзе, Нино. 1991. Дейкитические средства в системе современного английского языка и их роль в организации текста (автореф. докт. дисс.). Московский государственный лингвистический университет.
- Leech, Geoffrey and Jan Svartvik. 1983. *A Communicative Grammar of English*. Moscow: "Prosveshcheniye".
- Longman Dictionary of Contemporary English. 1978. Ed.-in-Chief Paul Procter. Harlow: Longman.
- Longman Dictionary of English Idioms. 1980. Editorial Director Th. H. Long. Bath: The Pitman Press.
- Quirk, Randolph, Sidney Greenbaum, Geoffrey Leech and Jan Svartvik. 1982. *A. University Grammar of English*. Moscow: "Vysšaja škola".
- Seidl, Jennifer and W. McMordie. 1979. *English Idioms and How to Use Them*. Oxford: Oxford University Press.